# საბჭოთა ქალი

№ 2 თებერვალი 1958



6ჟs 1958/9
ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოწინავე მუშა, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ცაცა ქურციკიძე

ფოტო ი. ედიგარაშვილისა

ალიო მირცხულავა

## მშვიდობის ჯარი

უძლეველია მშვიდობის ჯარი,
მისი გმირობა ჰკითხონ სტალინგრადს,
მტერს თავზე დასცა რისხვა და ზარი,
და რაიხსტაგის კოშკიც დაინგრა.

ლენინის დროშას ჰფიცავდა მარად,
და გუგუნებდა ირგვლივ მთაბარი,
წინ მიუძღოდა ფოლადის ფარად,
სტალინი—დიდი მხედართმთავარი.

ახლაც მშობლიურ პარტიას ჰფიცავს,
ხალხთა მშვიდობას რომ უდარაჯოს,
ჩვენს თავისუფალ ცხოვრებას იცავს,
და კომუნიზმის დიად ხარაჩოს.

უძლეველი და უშიშარია,
მკერდზე უბრწყინავს ვარსკვლავთ
კრებული,
იგი თხუთმეტი მოძმის ჯარია,
ზღვის ტალღებივით შეერთებული.

მას ეტრფის ჩვენი გული და თვალი,
და სიყვარული დაუშრობელი,
რაინდად ზრდიდა საბჭოთა ქალი,
გმირთა-გმირების დედა—მშობელი.

7745



იზარდე მშვიდად!

ნახატი სტალინური
პრემიის ლაურეატის
ირაკლი თოიძისა.




1958
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!
მუსიკა თემურ ნაცვლიშვილის
ლექსი ანა კალანდაძის
სკოლა
1921
1921
1958
1921
1958

ეროვნული ბიბლიოთეკა







# „საქართველოო ლამაზო"

ქარი ჰიმღერის ნანას,
ზღაპარს ჰიამბობს ჭადარი...
მეწნამ ალერსით ამავსო
იჭვებით ნაავადარი,
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?"
ცა ვარსკვლავებით ინთება,
ცა არცა რისი სადარი...
მთვარე რომ ამობრწყინდება,
გული გაფრენად მზად არი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?"
ბარად შრიალებს ჭადარი,
მზეს უმღერიან ჩიტები,
მხარევ მოსილო დიდებით...
„სხვა საქართველო სად არი?"
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?"









ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისინი იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის

## ვერა კიზირია

იმ დღეს პირში ჩალაგამოვლებულები წავიდნენ მენშევიკური მთავრობის რაზმელები ჯაბა კიზირიას ოჯახ იდან. რამდენიმე საათს გრძელდებოდა 15 წლის გოგონას ვერა კიზირიას დაკითხვა, მაგრამ აბა, რას დააცდენინებდნენ?!

— მალე დაგვჭირდება,—უთხრა ვერას ძმამ ირაკლიმ, როცა სპარსეთის ფრონტიდან ჩამოტანილი იარაღების დიდი შეკვრა მოიტანა, დიდ ტილოში გახვია და სახლის ქვეშ, მიწაში ჩაფლო. რაზმელებმა მთელი სახლი გადააბრუნეს, ყოველი კუნჭული გაჩხრიკეს, მაგრამ... ამაოდ!

ვერა ხარბად დაეწაფა ირაკლის მიერ არალეგალურად მოტანილ წიგნებს. მარქსი... ლენინი...

ნათელი გონების, მტკიცე ნებისყოფის პატრონი უშიშარი ქალი მალე მიიღეს აბაშის რევოლუციური ახალგაზრდობის ორგანიზაცია «სპარტაკის» რიგებში. ვერა თავდაუზოგავად ეწეოდა პროპაგანდას ახალგაზრდა ქალებს შორის.

ნაესაკოვი, კოდორი, აბაშა, ქუთაისი, ისევ აბაშა და კოდორი... საუბრები და ახალ-ახალი პროკლამაციების გავრცელება...

«რა იყო მაინც ის დალოცვილი,—იგონებდა აბაშის კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვიქტორ კაჭარავა,—რას არ მოვსწრებივარ, მაგრამ ასეთი გოგონას მნახველი არა ვარ...“

კოდორის კომკავშირულმა ორგანიზაციამ, რომელსაც ვერა ხელმძღვანელობდა, მალე ყველა სოფლის ორგანიზაციებს გაუსწრო.

1919 წელს აბაშის კომკავშირული ორგანიზაციების რაიონულ კონფერენციაზე 16 წლის ვერა კიზირია რაიონული კომიტეტის წევრად აირჩიეს. ახალი ენერგიით შეუდგა იგი მუშაობას და მალე ნაესაკოვოში მძლავრი კომკავშირული უჯრედი ჩამოაყალიბა.

მაგრამ არ ეძინათ მენშევიკური მთავრობის რაზმელებსაც. 1920 წელს აბაშის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელები ფედია ფრანგიშვილი, ვიქტორ კაჭარავა, გიორგი ფრანგიშვილი, მამონტი კაჭარავა და სხვები დააპატიმრეს.

ეძებდნენ ვერასაც. ისევ ააწიოკეს ჯაბა კიზირიას ოჯახი, მაგრამ ვერას კვალს ვერ მიაგნეს...

მალე წითელი დროშა აფრიალდა აბაშაში, სენაკში, ზუგდიდში.

სამაზრო კომიტეტის ქალთა განყოფილების ხელმძღვანელობა დაავალეს არალეგალურად მომუშავე კომკავშირელს ვერა კიზირიას. მერე კომკავშირის რაიკომის მდივნად აირჩიეს. სოციალიზმის საქმისათვის თავს არ იზოგავდა ვერა, მაგრამ მოულოდნელად შეწყდა მისი სიცოცხლე 21 წლის ასაკში. აბაშის რაიონული ცენტრის ბაღშია დასაფლავებული ნათელი მომავლისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ბოლშევიკი...

## თამარ გაბარაშვილი

დედა დღენიადაგ საკერავთან იჯდა. მის მოღლილ თვალებს მუდმივი კერვით სინათლე დაჰკლებოდა, მაგრამ ნემსს ხელიდან ვერ აგდებდა—ოჯახი სარჩენი ჰყავდა.

ბავშვობიდან იგრძნო თამარმა, თუ რა ძნელი იყო ლუკმა-პურის შოვნა. მშობელი ეცოდებოდა და მის შრომას იზიარებდა, გვერდით მიუჯდებოდა, მასთან ერთად ბევრჯერ დასთენებია თავზე.

წიგნებს გულგრილად ვერ უყურებდა, კი არ კითხულობდა, ყლაპავდა. თუმც სწავლის ქირის გადაუხდელობის გამო სასწავლებლიდან დაითხოვეს, მაგრამ ცოდნის მიღების სურვილი ვერ ჩაუხშეს...

... გვიან საღამომდე არ დაბრუნებულა იმ დღეს თამარი შინ. დედისათვის არ გაუმხელია, ისე დაეწყო მუშაობა ჩაის კუსტარულ ფაბრიკაში დამხმარე მუშად.

ერთხელ მასთან რევოლუციური ახალგაზრდობის ორგანიზაციის «სპარტაკის» წარმომადგენელი მივიდა და ყველაფერი აქედან დაიწყო...

თამარი მუშა ქალებს ესაუბრა, გაფიცვისაკენ მოუწოდა, შეაგულიანა და... გაფიცვა მათ სასარგებლოდ დამთავრდა, მეფაბრიკე აიძულეს სამუშაო დღე შეემცირებინა.

პირველმა წარმატებამ ბრძოლის სურვილი გაუძლიერა თამარ გაბარაშვილს. იგი «სპარტაკის» ორგანიზაციაში შევიდა. მალე კომკავშირის უჯრედის ხელმძღვანელობა ჩააბარეს. თამარი პირნათლად ასრულებდა ყოველგვარ დავალებას. მოკლე ხანში მოიხვეჭა ნდობა და ავტორიტეტი ახალგაზრდობას შორის. 18 წლისა პარტიის რიგებში მიიღეს.

1920 წლის აგვისტოში ბარნაბ ადამაძესთან, შალვა ოკუჯავასთან და სხვებთან ერთად კომკავშირის პირველ «ლეგალურ» ყრილობაზე თამარ გაბარაშვილი დელეგატად გაგზავნეს. მისი თვალით ნახა თამარმა მენშევიკ-გვარდიელთა მიერ კომკავშირის ყრილობის დარბევა. ქუთაისში დაბრუნების შემდეგ პარტიის საგუბერნიო კომიტეტმა მას იატაკქვეშ მომუშავე



მ. ქლივიძე



თ. გაბარაშვილი



ვ. კიზირია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკებთან მეკავშირეობა დაავალა. მრავალჯერ შეუტყობინებია თამარს ცალკეული ამხანაგებისათვის პასუხსაგები დავალება, გადაუცია იარაღი და პროკლამაციები. მალე იგი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ქუთაისის კომიტეტის მეკავშირე გახდა. ამასთან, კომკავშირის ცეკას დავალებებსაც ატყობინებდა ქუთაისელ ამხანაგებს. ბევრჯერ ყოფილა ხიფათშიც, მაგრამ ყოველთვის ახერხებდა მისგან თავის დაღწევას.

1921 წლის თებერვალი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა! ჩვენი ხალხის წინ გადაიშალა განვითარების ნათელი პერსპექტივები, დიადი მშენებლობანი...

რა დიდი იყო მისი სიხარული, ვინც ამ დღეებისათვის იბრძოდა!

**ა. იმედაშვილი.**

## როცა წარსულ დღეებს ვიგონებ...

ხშირად მეწვევიან ხოლმე ფიქრები წარსულზე, იმ დღეებზე, როცა ახალგაზრდა ვიყავი. მეწვევიან, და თან წამიყვანენ, განვლილ გზებს მომატარებენ.

აი, ვხედავ კობას, ვისმენ მის საუბარს... აი, მუშათა კრებებზე ვარ! ჩემს ქოხში კვლავ ბოლშევიკები იკრიბებიან, კვლავ ჩვრებში ვახვევ იარაღს და სარდაფში ვმალავ. მეტეხის ციხის კარებთან ვდგევარ და ტუსაღებს საჭმელს ვუგზავნი. ჩემი გოგონაც თანა მყავს, რომელიც თუმცა ჩვილი, მაკრამ დიდად საიმედო «მეკავშირეა». ხელიდან ხელში გადადის ბავშვი, პატიმრები ეფერებიან. მისი მამიკო, კი როცა შვილს გულში იკრავს, ჩვრებიდან ფურცლებს აცლის...

მას შემდეგ წლები გავიდნენ! მაგრამ დღესაც გუშინდელივით მახსოვს განვლილი დღეები. თითქოს მესმის სროლის ხმა! აი, შეჯგუფებული ხალხი, მოკლული გოროდოვოი და...

ვხვდები ვისი საქმეც არის ეს. საშასი, ჩვენი საშა გეგეჭკორისა. ვღელავ—ნეტავ გავიდა სამშვიდობოს?

ვიცი, საცაა პოლიცია კარს შემოაღებს, დაყოვნება დაღუპვას უდრის და არალეგალური ლიტერატურა სახლიდან გამაქვს. თავს გვესხმიან! ეჭვმიტანილ ბინაში ვერაფერს პოულობენ.

1908 წელი. ჩემ ბინაზე არალეგალური კრებაა. მოულოდნელად ჟანდარმერია იჭრება ოთახში და კრების ყველა მონაწილეს აპატიმრებს, მათ შორის ჩემ ქმარს, ილია ქვლივიძეს. მისი საქმე მე ვიტვირთე. თუმცა ქმარი ამის შემდეგ შინ აღარ დაბრუნებულა (გადასახლებაში გარდაიცვალა), მაგრამ ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლას ბოლომდე უმისოდ მივყევი, მშრომელთა გამარჯვების სიხარულიც უმისოდ გავიზიარე. ყოველთვის მაინც ისეთი გრძნობა მქონდა, რომ იგი ჩვენთან იყო და ჩვენთან ერთად შეხაროდა თავისუფალი საქართველოს დღესასწაულს.

**მარიამ ქვლივიძე,**
პერსონალური პენსიონერი.



რესპუბლიკის პროკურატურის მცირეწლოვანთა განყოფილების გამგე ნ. ლომთათიძე

# მისი ფიქრი და საზრუნავი

**ლია ქაქაბაძე**

თუმც შვილი არა ჰყავს, მაგრამ ასე ჰგონია, რომ ყველა ბავშვი მისი შვილია. არ შეუძლია გულგრილად შეხედოს, როცა ბავშვი ტრამვაის საფეხურს დაეკიდება, ან უწმაწურად შეიგინებს. შეაჩერებს, ხელს ჩაავლებს და თან გაიყოლებს. არავინ იცის, რას ეუბნება ან რას პირდება, მხოლოდ სახლამდე რომ მიაცილებს, თანატოლივით ხელს გაუწვდის. ალბათ, კიდეც შეგხვედრიათ ქუჩაში და არც კი გიფიქრიათ, რომ იგი ჩვენი შვილების პატრონია.

...მას წინასწარგანზრახული მკვლელობა ბრალდებოდა, ჯერ კი ბავშვი იყო, 14 წლისა. თვალი უაზროდ გაეშტერებია და თავის დაცვას სულაც არ ცდილობდა. ახმაურებული დარბაზი, წინა რიგებში გადალაპარაკება, მოსამართლის შეკითხვები, დედის ქვითინი და დახოკილი სახე...

კუშტად იყო. არც თავი ეცოდებოდა და არც ახლობლები. „მომკალი, ბიჭო?"—ახლაც ყურში ედგა და არ ასვენებდა.

იქნებ არ მომკვდარა? — ფიქრობდა, მაგრამ შავებიანი ქალის დანახვა გონებას უკარგავდა.

...ისინი ერთად იზრდებოდნენ, ღობის გადმა-გადმოღმა, ხშირად მჭადის ნატეხი გაუყვიათ, თოვლის ბაბუაც ერთად უკეთებიათ.

იმ დღეს... ოხ, იმ დღეს, ნეტავ, მოაგონა...

ეს ბიჭი ვიღაა? ახსოვს, მათთან ერთად თამაშობდა იმ დღეს.

იქნებ მან მაინც თქვას, რომ არ მომკვდარაო. მაგრამ სულ სხვას ამბობს, სულ სხვას და მასაც აგონდება:

ფულობანას თამაშობდნენ და ამხანაგმა მოუგო. თამაშის შემდეგ სახლში შევიდა, სანადირო თოფი გამოიტანა, ბიჭებს ხუმრობით ხელები მაღლა ააწევინა და გაისროლა...

ნატალია გამოსავალს ეძებდა. არ შეიძლებოდა, რომ მკვლელს, რომელიც მოკლულზე 3 წლით უფროსი იყო, ფულის წართმევა ხდომებოდა და იარაღი ეხმარა. არცერთი მოწმე არ აცხადებდა, რომ იგი თამაშის შემდეგ გაბრაზებული შევიდა სახლში ან ამხანაგს მოკვლით დაემუქრა. ბავშვმა იარაღით თამაში დაიწყო. იარაღში შემთხვევით ტყვია აღმოჩნდა. ამხანაგი, რომელთანაც ფული წააგო, ძირს დაცემული რომ დაინახა, იყვირა, იარაღი გადააგდო და გაიქცა...

ნატალიამ ბავშვთა გამასწორებელ კოლონიაში ინახულა იგი, რომელსაც მისი ჩარევით 8 წლის სასჯელი 2 წლით შეუცვალეს. ინახულა და დარწმუნდა—მის წინაშე ბოროტმოქმედი როდი იდგა.

* * *

ახლა მას შეუძლია დაისვენოს, ხნოვანება ამის უფლებას აძლევს, და მაშინ აღარ ექნება სადარდებლად მშობლებისაგან მიტოვებული ბავშვის ამბავი, უყურადღებოდ დარჩენილი მოზარდის დანაშაულებრივი საქციელი, სასამართლომდე მისული მცირეწლოვანის საქმე. მაგრამ მაშინ ვერც იმ დიდ სიხარულს იგრძნობს, გზიდან აცდენილის გამოსწორება რომ ანიჭებს. ამიტომ ვერ დათმობს ვერცერთს, ორივე მისია—დარდიც და სიხარულიც.

ჯავრი თუ გაქვთ, მასთან შესულს უკან აღარ გამოგყვებათ. რომ არაფერი გითხრათ, სითბოს გაგრძნობინებთ მისი შემოხედვა.

ჩვენს ბავშვებზე ზრუნვაში უკვე მესამოცე წელს ითვლის ნატალია ლომთათიძე და ამ ხნის მანძილზე ბევრი აქვს მოსაგონარი.

...ახლა თებერვალია, ზამთრის უკანასკნელი თვე. მაშინაც თებერვალი იყო, ამ 37 წლის წინათ. ჩვეულებრივზე დიდი თოვლი მოვიდა იმ წელს გურიაში. და მიარღვევდა მუხლამდე თოვლს ახალგაზრდა ქალი. დღე დღეს მისდევდა, გზა არ ილეოდა, გაჩერება კი არ შეეძლო. რევოლუციური მოძრაობის მონაწილეს დასაჭერად დაეძებდნენ. ღამეს ნაცნობების ოჯახში ათევდა, დღისით კი თოვლში მიიკვლევდა გზას. ნადირიც კი არ იყო თავმოძულებული, რომ ასეთ ავდარში გარეთ გამოსულიყო, ქალიშვილი კი...

თითქოს სხეულიც მოიღალა, სულიც. ხაცაა წაიქცევა, მაგრამ თოვლს კვლავ ნაფეხურები აჩნდებოდა, ქალის მსუბუქი ნაფეხურები.

25 თებერვალმა ნატალიას გზაში მოუსწრო და გადარჩა. რევოლუციამ არ გასწირა შვილი, მისთვის რომ იბრძოდა, სიცოცხლე რომ უყვარდა, ახლაც ამ სიცოცხლისათვის რომ ცხოვრობს, ჩვენი შვილების მომავალი პირად საზრუნავად რომ გაუხდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქარიშხლიანი ბილიკებით

**თამარ ჩხაიძე**

(ნაწყვეტი რომანიდან*).

ხელებზე ჯერ კიდევ ბორკილების დალი აჩნდა, თავი ჯერ კიდევ შლისელბურგის საკანში ეგონა, იმიტომ იდგა ლენის ნაპირზე გაქვავებული. თვალებში ტალღები ულივლივებდა, თმებს ტაიგის სიო ურხევდა.

— ნეტავ ვინ არის?—იკითხა იაკუტელმა ქალიშვილმა.

— ახალ ეტაპს მოჰყვა. ფერშალია, სერგო ორჯონიკიძე,—მიუგეს.

— სერგო,—თქვა ქალიშვილმა, გვარის თქმა ვერ მოახერხა და დაუმატა:

— ქართველი?

* * *

ის ქალიშვილი დახვდა სერგოს სკოლაში,—ღიმილით და თაფლისფერი თვალების ჭუტვით, როცა ყვავილის ასაცრელად მივიდა.

— მასწავლებელი გახლავართ, პავლუცკაია ზინაიდა გავრილოვნა!—გააცნო თავი და ბავშვებთან წაიყვანა.



— აბა, ვის ეშინია?—ჰკითხა სერგომ ბავშვებს სიცილით. არავის შეშინებია. ყველამ გაუწოდა მკლავი, მათ შორის ყველაზე პაწია თვალებციმციმა გოგონამაც.

— მე შენ საქართველოში წაგიყვან, ჩვენი რძალი იქნები!—გაეხუმრა გოგონას სერგო და რატომღაც მასწავლებელს მიაპყრო მზერა. წასვლისას კი უბრალოდ უთხრა:

— ჯერჯერობით, ზინაიდა!

* * *

ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს მდინარე ლენის ნაპირას. იაკუტიის ზეცა შემოდგომას ეთხოვებოდა და ვეება ლურჯ თვალთაგან წვრილ-წვრილ ცრემლებს ცრიდა.

აწვიმდა მიწას, აწვიმდა ტაიგას, აწვიმდა ლენაში ჩამდგარ გემს. მგზავრები ადიოდნენ მოქანავე გემის ხიდზე. იქვე სერგო ბოლთას სცემდა...

— ამხანაგო, პაპიროსი ხომ არა გაქვს?

— აჰა,—აწოდებს მეზღვაური, თან ჩურჩულით ეუბნება,—შიგ ბარათია რძით ნაწერი.

— გმადლობთ, აჰა, თქვენ ასანთი,—აწოდებს სერგო და თან ჩურჩულებს,—შიგ წერილია რძით ნაწერი!

მეზღვაური ხელში სხვა ასანთს იჭერს, სერგოც სხვა პაპიროსს აბოლებს...

ზინაიდა ნაპირზე დგას და ფიქრობს: საცაა ლენას ზამთარი ყინულის არტახებით შეკრავს, მის ბროლის მკერდზე ციგები ისრიალებენ, თხილამურებიც ლიანდაგურ კვალს დააჩნევენ. გემები—კი... მშვიდობით, გემებო! ვინღა მოიტანს ახალ ამბავს? ვინ მოიყვანს ახალ მგზავრებს? სწორედ ამ ფიქრზედ მოუსწრო სერგომ.

— ოცნებობ?

— ვფიქრობ.

— ფიქრიც კარგია, ოცნებაც! აი, მე ხშირად ვოცნებობ, თუ როგორ დავამხობთ მეფის მთავრობას, ვინც ჩვენ ციმბირში გადმოგვხვეწა, თუმცა მე ახლა კმაყოფილი ვარ, რომ აქ ვარ, თქვენთან...

ზინაიდას ალმური მოედო. დასავლეთი გააწითლა მზის ამბორმა.

* * *

1917 წლის დამდეგი იყო. მიდამოები თეთრად იყო დაბამბული.

— ვარსკვლავები!—იცინოდა ზინაიდა და ხელისგულს თოვლის ფიფქებს აგებებდა.

— გაცივდები, ზინაიდა!

— არა!

— დაიღლები, იაკუტსკამდე შორი გზაა.

— არა!

— აბა სთქვი—«ყვავო, ყვავო, ყვანჩალაო».

— კვა, კვა, კვანჩალა!—ამბობს ზინა და ისინი იცინიან, იცინიან... მემარხილე იაკუტიც კვდება სიცილით, რატომ, არ იცის!

რბილია თეთრად დაბამბული გზა. მარხილი თითქოს ნავივით მისცურავს ქათქათა თოვლის ზღვაში. ეჟვნებიც მიწკრიალებენ: ძინ, ძინ, ძინ! ტაიგა, კვლავ ტაიგა თეთრქოჩრიანი! სერგო სამშობლოს იგონებს, შორეულ კლდის ძირს... ჩიხტაკოპით მორთული დედა დესპინე სუფრის თავში ზის. მაგიდას ირგვლივ პაპულია, ჰიჭიკო, ვალიკო, იულია უსხედან. ისინი სერგოს ახალწელს ულოცავენ. დესპინეს თვალებში ცრემლი უკიაფებს, მაგრამ მას არ გადმოაგდებს, ბედნიერ დღეს არ იტირებს ოჯახის დედამთავარი. სადღაც ისვრიან, სადღაც მეკვლე მიღიღინებს:

* მწერალი ქალი თამარ ჩხაიძე მუშაობს ახალ რომანზე „ქარიშხლიანი ბილიკებით," რომელშიც ასახული იქნება მგზნებარე რევოლუციონერის სერგო ორჯონიკიძის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ვბეჭდავთ ამ რომანის ნაწყვეტს, კერძოდ, სერგო ორჯონიკიძის შეხვედრას მის მომავალ მეუღლესა და თანამებრძოლთან—ზინაიდა პავლუცკაიასთან.

— მოვდივარ, მომიხარიან!

— მოგწყინდა? — ჩაესმის სერგოს ზინას ხმა.

— არა! ფიქრმა წამიღო!—იმართლებს თავს სერგო და კვლავ იცინის, ექვნებიც იცინიან: «ძინ, ძინ!»

ტაიგა! ნაძვები თითქოს თოვლის პაპებია, ბუმბულა ქუდებიან თავებს მგზავრებს უხრიან და ხელებს უქნევენ. ასე გრძელდება დიდხანს, სანამ ბნელში იაკუტსკის ფანჯრები არ აციცინათლდნენ.

* * *

— ჩამოვედით!—თქვა მემარხილემ.

— ძია სერგო, ძია სერგო!—გაიწკრიალა ბავშვის ხმამ.

— მარიანა, მარიანა!—შესძახა სერგომაც და ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ. შემდეგ სერგომ ზინაიდას მასპინძელი გააცნო:

— ემელიან იაროსლავსკი!

— ყველა კატორღელები ვართ, ყველა ბოლშევიკები!—თქვა ემელიანმა სიცილით და ზინაიდა თავის სტუმრებს გააცნო.

დიასახლისიც გამოვიდა სამზარეულოდან. ზინას გადაეხვია და ნაძვის ხესთან მიიყვანა:

— მადლობა ღმერთს, დღეს ახალ წელს ვეგებებით, თორემ დაბადების დღე წელს ასჯერ გადამიხადესო.—ჩასჩურჩულა მან ზინას ყურში და ეშმაკურად თვალი ჩაუკრა. ჩქარა ჭიქებმაც გაიწკარუნეს.

— ყოველი ჭირ-ვარამი ძველ წელს გაჰყოლოდეს,—თქვეს სტუმრებმა,—თავისი ბორკილებით, ჟანდარმებით... და დაიწყო მოლხენა, რომელსაც დროდადრო იაროსლავსკისა და სერგოს სიტყვები სწყვეტდა.

გარეთ კი თოვლის ფანტელების ვარსკვლავები დაფრინავდნენ.

* * *

კვლავ თეთრად დაბამბული გზით დაბრუნდნენ ზინა და სერგო სოფელ პაკროვსკაიაში.

თებერვალში კი ზინაიდას სინსკში წასულ სერგოსაგან დეპეშა მოუვიდა—«მოგილოცავ».

ვერაფერი გაიგო ზინაიდამ, სანამ მეორე დღეს ეტლით თვით სერგო არ ჩამოვიდა:

— რევოლუცია, რევოლუცია! — გაიძახოდა ის და ყველას ჰკოცნიდა, ყველას ეხვეოდა.

— წავიდეთ, იაკუტსკში, წავიდეთ!—სთხოვდა სერგო.

— აბა, როგორ შემიძლია, გაზაფხულის პირს?! გამოცდებიც კარზეა მომდგარი!—გაიქნია თავი ზინაიდამ და სერგო მარტო გაისტუმრა. განა მარტო? ათასი ფიქრი, ათასი გეგმა თან გააყოლა.

* * *

დროშებით და მარსელიოზის ხმებით იყო სავსე იაკუტსკი.

— გაუმარჯოს რევოლუციას, გაუმარჯოს თავისუფლებას!—გაისმოდი ყოველი მხრიდან.

— ხმა—ვისაც ხმა არ ჰქონია!

— მიწა—უმიწოს!

— ხელისუფლება — მუშებსა და გლეხებს!—ამზობდნენ ბოლშევიკები.

მიიწურა გაზაფხული. მაისმა შემოანათა წითელბანტიან მკერდებს!

ფეხი აიდგა ფეხმარდმა მდინარე ლენამ, პოლიტიკურმა გადასახლებულებმაც აიდგეს ფეხი:

— მშვიდობით ციმბირო! მეორე სამშობლოვ!

— თქვენც მშვიდობით, იაკუტელო ბოლშევიკებო!

გემს იაკუტსკისკენ ეჭირა გეზი.

— ახალი ამბები, ახალი მგზავრები!—ფიქრობდა სოფელ პოკროვსკაიაში ლენის ნაპირზე მდგარი ზინა.

სერგომ და იაროსლავსკიმ ზინას წასაყვანად მოაკითხეს.

— შვილი მიდის, ქვა წყალში ვარდება, — ტიროდა ზინაიდას დედა.

— ცრემლით არა, დედი, სიცილით გაგვაცილეთ!—უთხრა სერგომ და გააცინა.

ყველა იცინოდა: მგზავრებიც, გემის ეკიპაჟიც, მზეც კი იცინოდა წვიმის ცრემლებში.

— სერგო საით, საით მივდივართ?—იკითხა ზინამ, როცა ნაპირი თვალს მიეფარა.

— პეტროგრადში, ლენინთან!—მდინარის ტალღების დგაფუნში ჩაესმა სერგოს პასუხი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. სამსონია

# დედა

ნარკვევი

იქნებ მას შეხვედრიხართ ჩვენი ქალაქის ქუჩებში, თუ გინახავთ, ყურადღება არ მიგიქცევიათ, რადგან არაფერია მასში განსაკუთრებული.

საშუალოზე ოდნავ მაღალი.

დინჯი ნაბიჯით, როგორც ჭარმაგ ხალხს ჩვევია, თავდახრილი მიჰყვება ქუჩას... მაგრამ იგი არც ისე მოხუცია, წლების სიმძიმე ბეჭებში რომ მოხაროს, ჩალისფერ თმაში ჯერ კიდევ არ შეპარვია ვერცხლის ძაფები და არც სახე აქვს ნაოჭებით დაღარული.

სიარული კი ასეთი იცის, დინჯი, აუჩქარებელი.

თვალებში რომ შეხედოთ, ერთნაირად დაინახავთ სითბოსა და ნაღველს, ალერსსა და კაეშანს.

იგი ჩვენს ქალაქში ცხოვრობს.

ნუთუ არ შეხვედრიხართ?

ანა ანდრიას ასული ივანოვაა, სრულად ასე გამოითქმის, მაგრამ შეიძლება ერთი სიტყვითაც გაგაცნოთ:

მას დედას ეძახიან!

დედებზე დაუსრულებლად შეიძლება თხრობა,—თქვა მაქსიმ გორკიმ.

— : —

ადრე მოუკვდა ქმარი ანა ანდრიას ასულს. ბორისი იმდენად პატარა იყო, რომ მხოლოდ სურათით დარჩა ხსოვნაში მამის სახე.

— სულ მას გევხარ,—ეუბნებოდა დედა შვილს,—ღმერთმა ქნას, ხასიათიც მისი გამოგყვეს, შრომა გიყვარდეს და ამაგის დაფასება შეგეძლოს.

ძნელი იყო მარტოხელა ქალისათვის ოჯახის გაძღოლა. უჭირდა ანა ანდრიას ასულს, მაგრამ არ იმჩნევდა. «აი, შვილი გაიზრდება და...»

ყოველ წელს, დაბადების დღეს, კედელთან დააყენებდა და ფანქრით აღნიშნავდა ბორკას სიმაღლეს.

— ამ ხაზს ხომ ხედავ? შარშან ასეთი პატარა იყავი, წელს კი როგორ გაიზარდე!

ნელ-ნელა მიიწევდა მაღლა ხაზები...

შვილი მამის გზას გაჰყვა. სპეციალობის მიღება გადაწყვიტა, სკოლიდან სახელოსნო სასწავლებელში შევიდა...

შემდეგ კი ომი დაიწყო...

ჩვენი ქვეყანა ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება...

დილიდან გვიან ღამემდე შრომობდა საწარმოში ანა ივანოვა, როგორც მილიონობით სხვა საბჭოთა დედა. თავდადებით მუშაობდა შვილიც.

ქვემეხების ვრიალში, ტყვიების წვიმაში მოვიდა 1942 წელი. კვლავ მიემართებოდნენ დასავლეთისაკენ დატვირთული ეშელონები, ცეცხლის ხაზზე დგებოდა სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობა. ბორის ივანოვს ასაკით არ უწევდა გაწვევა, მაგრამ მოხალისედ წავიდა.

დედას ერთი სიტყვაც არ დაცდენია სასაყვედურო. «ალბათ ასე იყო საჭირო». ცდილობდა არ ეტირა.

— მაშ, მიდიხარ, არა?

წასვლის წინ უკანასკნელად დააყენა კედელთან.

— ხედავ, უკვე დიდი გამხდარხარ. ჩემთვის კი მაინც პატარა ბორკა ხარ.

პატარა ბორკა ჯარისკაცი ბორის იაკობის-ძე ივანოვი გახდა. ანა ანდრიას ასულივით ალბათ ბევრ დედას განუცდია ფრონტიდან გამოგზავნილი სამკუთხა ბარათების მოლოდინი...

44-ის იანვრის მიწურული იყო. ბათუმში ანა ანდრიას ასულის სახელზე მოვიდა უწყება: «თქვენი შვილი, გვარდიის უფროსი სერჟანტი ბორის იაკობის-ძე ივანოვი...» და ველარ დაასრულა, თვალთ დაუბნელდა, ასოები სადღაც გაქრნენ...

მამაცურად იბრძოდა თურმე. სოფელ სიშჩიცთან სასიკვდილოდ დაიჭრა. იქვე დაასაფლავეს.

სიშჩიცი.

ბელორუსიაში, გომელის ოლქში არის ერთი ასეთი პატარა სოფელი.

— : —

ომის ქარცეცხლმა გადაიქუხა.

ბათუმიდან შორს არის სიშჩიცი, მაგრამ დედა აუცილებლად წავა, თავისი ერთას საფლავს ნახავს, გაწმენდს, ყვავილებს დაურგავს.

ანა ივანოვა ბელორუსიაში მიემგზავრება. აი ის პატარა სოფელიც. ერთერთ ბორცვზე, სხვა მეომრებთან ერთად განისვენებს მისი ბორისი. აქ 750 კაცი მარხია, რომელთა შორის მხოლოდ 37-ის ვინაობაა ცნობილი. არავინ იცის სად მარხია ბორისი. იმ მარტოხელა ნაძვის ძირას, თუ ქვევით, გზის პირას...

750 კაცში მხოლოდ ერთია მისი შვილი, მაგრამ დანარჩენებიც ხომ დედის შვილები არიან.

... და დედა ეძებს დაღუპული შვილების გვამებს, მას სოფლელებიც ეხმარებიან.

იჭრება ახალი საძმო საფლავები...

მზეს გაუღიმეს საფლავებზე დარგულმა ნაირფერმა ყვავილებმა. ისინი ანა ანდრიას ასულმა ახარა. მათ შორის ბევრია ისეთი, რომელიც მხოლოდ საქართველოში ხარობს. დედამ სპეციალურად წაიღო მათი თესლი ბათუმიდან.

რჩებოდა ერთი რამ—ძეგლი. ანა ივანოვამ მოსკოვში გაგზავნა ვრცელი წერილი.

ამის შემდეგ იგი ორჯერ იყო სიშჩიცში. უკანასკნელად—გასული წლის ნოემბერში. გომელიდან ბათუმში აცნობეს მას ძეგლის გახსნის დღე.

ძეგლის გახსნას უამრავი ხალხი დაესწრო.

გვირგვინები ბათუმიდანაც იყო: კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებიდან, სკოლიდან, სახელოსნო სასწავლებლიდან.

ანა ანდრიას ასულის სახეს ცრემლები ასველებდა. ხალხი კი იდგა ქუდმოხდილი და ერთი დედის სახით მადლობას უხდიდა ყველა დედას, რომელთა შვილებმაც სიცოცხლე ანაცვალეს ჩვენს თავისუფლებასა და ბედნიერებას.

— : —

ბელორუსიაში, გომელის ოლქში არის ერთი პატარა სოფელი სიშჩიცი. იქ ერთერთ ბორცვზე ძმათა სასაფლაოა. სასაფლაოს ამშვენებს ძეგლი, რომელიც საბჭოთა ხალხმა თავის დაღუპულ შვილებს აუგო. დაჩოქილი დგას თავდახრილი ჯარისკაცი, ხელში მუზარადი უჭირავს. კვარცხლბეკზე ასეთი წარწერაა: «სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.»

ძმათა სასაფლაოზე 750 ვაჟმოხდილი საბჭოთა მეომარი განისვენებს. ერთერთი მათგანი გვარდიის უფროსი სერჟანტი ბორის იაკობის-ძე ივანოვია.

მისი მშობლიური ქალაქის, ბათუმის ქუჩებში კი შეიძლება შეამჩნიოთ საშუალოზე ოდნავ მაღალი ტანის ქალი, რომელსაც საოცრად კეთილი და ამავე დროს სევდიანი თვალები აქვს.

იგი ანა ანდრიას ასული ივანოვაა. სრულად ასე გამოითქმის, მაგრამ ერთი სიტყვითაც შეიძლება მისი გაცნობა:

მას დედას ეძახიან.

დედებზე დაუსრულებლად შეიძლება თხრობა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლ. გუდიაშვილი—მსახიობ თამარ ციციშვილის პორტრეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დ. გაბაშვილი — ქალიშვილის პორტრეტი

დ. ერისთავი—შეხვედრა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლ. შენგელია—ქალიშვილის პორტრეტი



ნანული ქორიძე

წამწამებს კიდევ ორი ცრემლი მოსწყდა და სველ ღაწვებზე დაგორდა.

— მე ძლიერ ვწუხვარ, ქალბატონო ალექსანდრა, რომ უმძიმესი მოგონებებით გული გატკინეთ,—ვინანე.

ის დუმდა. კედლებიდან, წიგნების კარადიდან, საწერი მაგიდიდან გადმოგვყურებდნენ სურათები, სურათებიდან—ვაჟკაცები, ვისი სახეებიც ასე ძვირფასია ჩვენთვის. და მთები, მთები, რომელთა სიყვარულმა იმსხვერპლა ისინი, მაგრამ, რომელთა სიყვარულმა უმძაფრესი სიხარულის წუთები განაცდევინა სამს ჯაფარიძეების ოჯახიდან.

ქალმა შევერცხლილ თმაზე ხელი გადაისვა მღელვარების დასაოკებლად და წყნარი ხმით დაიწყო. მოგონებებში ცოცხლდებოდა მშობლიური სოფელი ხრეითი, იმერული ოდა, ტკბილი დედ-მამა, მოსიყვარულე და-ძმები, ბავშვობის განუმეორებელი წლები... შემდეგ ქუთაისი—წმინდა ნინოს გიმნაზია, ისევ ხრეითი, ახალგახსნილი სკოლა, ალექსანდრა—სკოლის გამგე და მათემატიკის მასწავლებელი—დაბოლოს, თბილისი—საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორია ....

ალექსანდრამ თვალები კედელზე ერთერთ სურათს მიაპყრო. ფოტოზე პატარა ჯგუფია, შუაში—პროფესორი ალექსანდრე დიდებულიძე, ირგვლივ ობსერვატორიის თანამშრომლები, მათ შორის—ახალგაზრდა ქალი.

— ეს მე ვარ,—მესმის ალექსანდრას ხმა,—პირველ ექსპედიციაში გამგზავრების წინა დღეს.

* * *

ობსერვატორიის ერთერთ ოთახში თანამშრომლები ალექსანდრე დიდებულიძის საინტერესო მოხსენებას ისმენდნენ: პირველი სამეცნიერო ექსპედიცია უნდა წასულიყო მყინვარწვერზე მეტეოროლოგიურმაგნიტური დაკვირვებებისა და ტოპოგრაფიული აგეგმვის საწარმოებლად.

პროფესორი ისე გატაცებით მოუთხრობდა მთების ზღაპრულ სილამაზეზე, ალპიური ყვავილების ჯადოსნურ ფერებზე, მარადთოვლიანი მწვერვალების ელვარებაზე, რომ მსმენელები აღტაცებაში მოვიდნენ. ალექსანდრა თვალებგაფართოებული შეჰყურებდა პროფესორს, «რა ბედნიერი ვიქნები იმ ლამაზ ალპიურ ველებამდე რომ მაინც ავიდე»,—ნატრობდა გულში.

თბილისში გაზაფხული დგებოდა. ახალგაზრდა ქალი მოჯადოვებული მიჰყვებოდა ქუჩას. ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა. არც კი ახსოვს, როგორ მივიდა სახლამდე. სახლშიც დაბნეული და გარინდებული იყო, შეკითხვებზე პასუხს არ იძლეოდა და შინაურების გაკვირვებულ მზერას ვერ ამჩნევდა.

მეორე დილით დიდებულიძეს რომ შეხვდა, ალექსანდრა წამოწითლდა და გაუბედავად ჰკითხა:

— ბატონო პროფესორო, ნებას დამრთავთ ექსპედიციაში მეც მივიღო მონაწილეობა?

და როგორ გაუკვირდა, როცა დიდებულიძემ არც კი გაიცინა, სერიოზულად შეხედა მხოლოდ და უთხრა:

— რატომაც არა, ალექსანდრა, თუ სიარული შეგიძლია და გულიც კარგი გაქვს!

«თუ კი ვინმე ავა, მეც ავალ,»—ფიქრობდა ქალი.

მართლაც, როცა ექსპედიციამ სამუშაო დაამთავრა, შვიდნი, მათ შორის ალექსანდრაც, მწვერვალზე ავიდნენ.

ო, ეს დღეები ალექსანდრას არასოდეს დაავიწყდება. ყველაფერი ისე იყო, როგორც სიზმარში. ჯერ ვეებერთელა ალპიური ყვავილები: ხასხასა წითელი, თეთრი—რძისფერი, ლაჟვარდისფერი, უფრო ზემოთ—თოვლის თეთრი საბანი, სპეტაკი, ფეხშეუდგამი. შემდეგ—საოცნებო მწვერვალი. და როცა ქალმა მწვერვალზე ფეხი შედგა, გაქვავდა, არაჩვეულებრივი სილამაზით დატყვევებული. ზევით თვალისმომჭრელად ელვარებდა ზეცა, ასეთი ლურჯი ცა ალექსანდრას ჯერ არ ენახა, ძირს კი გაშლილიყო ღრუბლების ნისლი. ნისლი ალაგ-ალაგ გარღვეიათ და თავი ამოეყოთ შევერცხლილ მწვერვალებს, როგორც ზღაპრულ ხომალდებს. ქვევით გავვდრდა, გრიალებდა ჭექა-ქუხილი, აქ კი უშფოთველად იდგა მოხუცი მყინვარწვერი და მზე მხიარულად იცინოდა თავის საუფლოდან. ქალი გაჰყურებდა ბუნების დიდებულ სურათს და ამიერიდან თავის სიცოცხლე ამ მთებისა და ამ სილამაზის გარეშე წარმოუდგენლად ეჩვენებოდა.

ეს იყო 1923 წელს. მწვერვალებისაკენ მიმავალ ექსპედიციას გზად პროფესორ გიორგი ნიკოლაძის ჯგუფი შემოხვდა. ჯგუფს მყინვარწვერი დაეპყრო და უკან ბრუნდებოდა. ეს ორი ასვლა მყინვარწვერზე საბჭოთა ალპინიზმის დასაწყისად ითვლება, საქართველო კი—მის ფუძემდებლად.

* * *

გვარში თუ მოსდევთ ჯაფარიძეებს მთების სიყვარული...

პირველად ამ სიყვარულით ალექსანდრა აინთო, მერე—სიმონი. რამდენიმე წლის შემდეგ კი ალიოშაც შეეჰატა მთასვლელთა რიგებს.

(გაგრძელება მე-12 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქალიშვილი ფშაველი

ა. თომაძე

არ ყოფილხართ ფშავის მთებში? მაშინ თქვენთვის ძნელი იქნება წარმოიდგინოთ მაღაწალის, გორმაღალას, ლაღისთავისა და ხომის მთების სილამაზე.

განსაკუთრებით სასიამოვნოა იქ ყოფნა გაზაფხულზე, როცა ყვავიან ფერად-ფერადი ყვავილები, როცა თვალს ატკბობს იალაღების სიმწვანე და ცის უსაზღვრო სილურჯე.

მოწმენდილ ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც არა ჩანს, მხოლოდ კავკასიონის მწვერვალებზე დაფარფატებს თეთრი ნისლი და ნისლივით შეფენია ფერდობებს ცხვრის ფარა.

... მწყემსთა ბინებთან განსაკუთრებული გამოცოცხლებაა დილას და საღამოს. დღისით ხმაური საძოვრებზე გადადის. ისმის მეცხვარეების სიმღერა, სტვენა, ხანაც სანადირო თოფის გრიალი. ბინებში თითო-ოროლა ქალი რჩება. ისინი ღამის თადარიგში არიან, ამზადებენ ვახშამს, ამოჰყავთ ქარვისფერი ყველი.

როცა დაღამდება, კოცონს აახრიალებენ, ბარად ამ დროს ალმური ტრიალებს. აქ კი, ამ დალოცვილში ცოტა ცივა კიდეც. ზიხართ ცეცხლთან და ბურანში წასულს ყურში ნანასავით ჩაგესმით ძველებური «იყო და არა იყო რა...»

ხარბად სუნთქავთ სუფთა ჰაერს, პეშვით სვამთ ანკარა წყაროს და სიამოვნებისაგან გინდათ იმღეროთ. მაგრამ აქაურმა ბუნებამ ხანდახან გაჯავრებაც იცის და მაშინ მის მრისხანებას საზღვარი არა აქვს.

შარშან ზაფხულს, მაგალითად, წარღვნასავით კოკისპირული წვიმები დაიწყო. რა გაჭირვებაში ჩაცვივდნენ მაშინ ჩვენებურები? რა ფათერაკიანი ღამე დაუდგა მწველავ ქალს მარიამ ალუდაურს? არ იცით განა? ალბათ არც მას იცნობთ? მოგიყვებით:

ფერმაში ოთხი წლის წინათ მოვიდა მარიამი. სულ ახალგაზრდა იყო, ჩვიდმეტი წლისა, მაგრამ ცხოვრებაში ბევრი გაჭირვება გადაეტანა. მამა ბავშვობაში მოკვდომოდა. სიკვდილმა ესეც არ აკმარა, მალე დედაც გამოაცალა ხელიდან.

ძნელია ობლობა, მაგრამ ნათესავებმა, სოფელმა ადვილად გადაატანინეს პატარა მარიამს უდედმამობა, ალერსითა და სიყვარულით გაათბეს იგი.

... ფერმაში მარიამს ათი ძროხა ჩააბარეს— ზიზილა, საყვარელა, მანათა, ჯილდო...

ალერსსა და მოვლა-პატრონობას არ აკლებდა მარიამი თავის ძროხებს. ცოტახანში ისინი ისე შეეჩვიენ თავიანთ მომვლელს რომ ფეხის ხმაზე ცნობდნენ მას.

ახალგაზრდა მწველავმა მალე სახელი გაითქვა—შარშან, მაგალითად, თვითეული ძროხისაგან ათასსამასზე მეტი ლიტრი რძე მიიღო.

მარიამს ხევსურული ძროხები აბარია, რომლებიც საუკეთესოდ არიან შეგუებული მთის მკაცრ პირობებს. კარგი მოვლისა და კვების შედეგად თვითეულ მათგანს შეუძლია წელიწადში ათასხუთასზე მეტი ლიტრი რძე მოგვცეს, ე. ი. ექვსჯერ იმაზე მეტი, რასაც თვითონ იწონის.

ახლა რძის ცხიმიანობას არ იკითხავთ? ხევსურული ძროხის რძე მართლაც რომ ღალიანია. მისი ცხიმიანობა, ჩვეულებრივად, 5—5,5 პროცენტს აღწევს.

მარიამს მიმდევრებიც ჰყავს. ესენი არიან მართა გარაშვილი, ეთერ უძილაური და მარო მგელაშვილი, ერთმანეთს შრომაში რომ ეჯიბრებიან.

ცას მტრედისფერი რომ შეეპარება, გოგოები უკვე ძროხებს წველიან, ჩხრიალით ჩადის თბილი რძის ნაკადი სუფთა ვედროებში. შემდეგ პირუტყვს აძლევენ საკვებს, არწყულებენ, ასუფთავებენ.

რომელიმე ხბოს მოწყენილობა რომ შეატყონ, უნდა ნახოთ, როგორ აფორიაქდებიან ხოლმე, და სანამ ვეტექიმს ბაგრატ ჩოჩიშვილს არ მონახავენ, ვერ მშვიდდებიან.

გაგეხარდებათ ქალიშვილების სუფთა საწოლების ნახვა, წიგნებსაც კითხულობენ, ლამაზი ფშავური წინდების ქსოვასაც ასწრებენ— ფშაველი ქალის ხელი ხომ არასდროს უქმად არ დადგება. და განა მარტო შრომაში, სილამაზეშიც ცალს არ უგდებენ ერთმანეთს.

სწორედ ეს ადარდებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ახოვანსა და დინჯ ვაჟკაცს ალექსი ხუცურაულს.

— რა ვქნა, კაცს ადამიანის გაბედნიერება უნდა უხაროდეს, მაგრამ მე კი ბევრჯერ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდნილვარ, გვყავდა მოწინავე მწველავი ეთერ ღრუბელაშვილი და შარშანწინ გაგვითხოვდა. ახლა ამ გოგოების ჯერიც დგება და სულ იმის ფიქრში ვარ, იქნებ ზედსიძედ ვინმე მოვიდეს მეთქი...

ალბათ, მარიამზეც შიშობს თავმჯდომარე, მათთან კოლექტიურ შრომაში რომ დაქალდა. მისი კაი ქალობის სახელი შორს გასცდა მშობლიურ მაღაროსკარს. მას იცნობენ დუშეთის რაიონის ყველა სოფელში, მისგან სწავლობენ პირუტყვის მოვლა-პატრონობისა და რძის წარმოების გადიდების მეთოდებს.

მთიელი ქალიშვილის ცხოვრებაში ამასწინათ კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა. იგი საქართველოს კომკავშირის ყრილობის დელეგატად აირჩიეს. დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა მარიამი დედაქალაქიდან. ჯერ კიდევ გზაშივე მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მიმდინარე წელს თვითეული ძროხის წველადობა 1.500 ლიტრამდე აიყვანოს. ბევრი კარგი მეგობარი შეიძინა მან ყრილობაზე. ბევრი მათგანისაგან უკვე წერილებიც მიიღო, ალბათ, პასუხსაც გაუგზავნის ახალშეძენილ მეგობრებს და თავის ცხოვრებაზე რომ მოუყვება, იქნებ ისიც მისწეროს, რა გადაიტანა იმ ფათერაკიან ღამეს...

... იმ დღეს კარგი ამინდი იდგა, მაგრამ საღამოს მოულოდნელად მოიღრუბლა. ძროხები მოვიდნენ, მხოლოდ საყვარელა არ ჩანდა.

ჩამობნელდა. მარიამი მიხვდა, რომ თუ ახლავე არ იპოვიდა ძროხას, ის ნადირის კერძი გახდებოდა. საჩქაროდ შინ ნაქსოვი შალი მოიხვია და სიბნელეში გორმაღალას ბილიკს დაადგა.

ნახევარი გზა გავლილი არ ჰქონდა, როცა დაიქუხა და წვიმა დაუშვა. ირგვლივ ისე ბნელოდა, რომ თვალში თითს ვერ მიიტანდით. გაელვებაზე მარიამი წამით ხედავდა ადიდებულ ნაკადულებს და ნადირის ხახასავით პირდაღებულ ხევებს. შემდეგ კი სინათლეს მიჩვეული თვალი ვერაფერს ამჩნევდა.

კარგად არ ახსოვს რამდენი ირბინა იმ ღამეს, რამდენჯერ წაიქცა, რამდენჯერ კინაღამ უფსკრულში არ გადაიჩეხა, მაგრამ გათენებისას ჯაგნარში მწოლი საყვარელა რომ იპოვა, სველ ტუჩებში აკოცა.

* * *

ამ გაზაფხულზე მარიამი თავისი დობილებით კვლავ თქვენ გეწვევათ, მთებო, გულღიად შეხვდით, ნუ გაკერპდებით, პირს ნუ მოიბურავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენი ყვავილები

ხალხით სავსე დარბაზი, დაძაბული ყურადღება, საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილეთა გამოსვლა... იქნებ, სახელმოხვეჭილ ხელოვანთა მიერ მოხდენილი შთაბეჭდილება ჯერ განელებული არც იყოს, რომ მათ ჩვენი ცხოვრების ყვავილები, პიონერთა სასახლის წარგზავნილები შეცვლიან. თან მოიტანენ გაზაფხულის სურნელებას, აფეთქებული ნუშისა და ატმის რტოებს, ზამთრის ძილისაგან ახლადთვალახელილ იებს, ენძელებს, კაშკაშა ნაკადულებს, ყინვისათვის რომ უჯობნიათ და ბორკილაყრილნი შესცინიან თავისუფლებას. მართლაც და, ყველაფერი აყვავილდება, როცა სცენიდან ხმაშეწყობილი „გაზაფხული“ დაირხევა.

თეთრჩოხიანი „ცეროდენა“ ფეხისცერებზე „ყაზბეგურს“ იცეკვებს. აჭარულ ტანსაცმელში გამოწყობილი ბიჭუნები ცეცხლს დაახთებენ, ყელმოღერებული პატარა ასული კეკლუცად გაუღიმებს გულის სწორს... შემდეგ ჩაიკოვსკის ნაცნობი მუსიკა და თეთრი გედების სინარნარე.

და დაუკრავს სიმებიანი კვარტეტი, ამღერდება ჩელო, იტირებს ვიოლინო...

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ორასამდე ტალანტის ხელოვნება მაყურებელს დაარწმუნებს, რომ ბავშვთა აღზრდას სასახლის სამასამდე ფართო და ნათელი ოთახი, 52 კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორია გულმოდგინედ ემსახურება; რომ ოთხასამდე სხვადასხვა წრეში შვიდიათასამდე ნორჩი მეცადინეობს; რომ მხოლოდ თექვსმეტი წლისაა სასახლე და უკვე მრავალი სახელმოხვეჭილი ადამიანი გამოზარდა.

და სასახლის მემატიანეც დინჯად, მიმზიდველად, მოიგონებს, რომ პიონერთა სასახლის ნორჩმა ალპინისტებმა ყაზბეგის რაიონში დაიპყრეს უსახელო მწვერვალი, რომელიც „სასახლის პიკის“ სახელწოდებით, შევა გეოგრაფიის სახელმძღვანელოში, რომ დუშეთის რაიონის სოფელ ოსების კოლმეურნეებს პიონერთა სასახლის ნორჩმა ავტომექანიკოსებმა მოძრავი ელექტროსადგური „კიევი“—შეუკეთეს; რომ 1956 წელს პირველად პიონერთა სასახლეში „ამუშავდა“ უკაშხალო ელექტრო-სადგური, რომელიც ბავშვებმა დაამზადეს; რომ ნორჩ მეაბრეშუმეთა მიერ მოყვანილი პარკიდან მოქსოვილი აბრეშუმი ყველა თბილისელ გოგონას შემოსავს. მოიგონებს ათას რამეს, და მოგონებები განა დაელევა?

... სცენაზე კი კვლავ ეს ტალანტები იქნებიან, კვლავ გახურდება დოლი, იქუხებს სიხარული, ციცინათელას მოუხმობს მასზე შეყვარებული გული და გაცოცხლდება ამბავი კეთილ ფერიაზე, ბავშვების ოცნება სინამდვილედ რომ აქცია.





ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება. დასაწ. მე-9 გვ·)

რამდენ მწვერვალს შეალეწეს ყინულის აბჯარი, ვინ მოსთვლის? ისევ მყინვარწვერი დალაშქრა ალექსანდრამ 1925 წელს, შემდეგ წელიწადს კი უკვე სიმონთან ერთად ეწვია მას და მწვერვალზე დასტოვა ტემპერატურისა და წნევის ავტომატურად ჩამწერი ხელსაწყოები, რათა ერთ კვირაში ისევ ასულიყო და. ჩანაწერი ჩამოეტანა.

ქართველი ალპინისტების საოცნებო მწვერვალი თეთნულდი იყო, კავკასიონის ერთერთი ულამაზესი და უძნელესი მწვერვალი. «შემოდგომის გამჭვირვალე ჰაერი კავკასიონის ულამაზესი მწვერვალების გარსშემორტყმულ ლაშქარს ერთიათად უფრო ალამაზებდა და აახლოვებდა,—წერდა ერთერთი ექსპედიციის დროს სიმონ ჯაფარიძე.—შორიდან სალამს გვიძღვნიდა მწვერვალთ მეფე იალბუზი, თავს გვიქნევდნენ და თავისკენ გვეპატიჟებოდნენ მისი გენერლები დიხ—თაუ ყოშთან—თაუ, შხარა, კეკლუცი თეთნულდი და მრისხანე უშბა. და სიტყვა მივეცით, რომ ყველას ვინახულებთ, მაგრამ ჯერ «კეკლუცს» და ბოლოს «მრისხანეს», ნახვით კი ყველას ვნახავთ.»

ამ დან. პირების განხორციელებას აპირებდა, ალბათ, სიმონი, როცა გიორკი ნიკოლაძესთან და პიმენ დვალთან ერთად თეთნულდის მწვერვალისაკენ გაემართა. მწვერვალამდე მან ვერ მიაღწია. განსაცდელში მყოფ მეგობარს—პიმენს გაუწოდა საშველად ვაჟკაცური მარჯვენა, მაგრამ ვერ უშველა და მასთან ერთად დაიღუპა.

თეთნულდის კატასტროფამ თავზარი დასცა ალექსანდრას მოხუც მშობლებს: რამდენიმე წლის განმავლობაში მათ სამი ვაჟიშვილი მიაბარეს მიწას—ვანო, კალისტრატე, სიმონი... შეშფოთდნენ მოხუცები, როცა რამდენიმე თვის შემდეგ ალექსანდრამ და ალიოშამ შეატყობინეს თეთნულდზე შურისსაძიებლად მივდივართო, მაგრამ როდი გაამხილეს: დარდი და შიში სადღაც გულის ერთ კუნჭულში გადამალეს და თვალცრემლიანებმა შვილებს სახიფათო გზა დაულოცეს.

მთელი საქართველო ადევნებდა თვალყურს ექსპედიციას. «ნუ მიდიხართო თეთნულდზე,»—ურჩევდნენ ახალგაზრდებს მოხუცი სვანები,—თეთრი მთაა თეთნულდი, ფეხშეუდგამი, ადამიანს იქ რა უნდა! თავის გულადობას ემსხვერპლა თქვენი ძმა სიმონი, ახლა თქვენც მიჰყვებით იმის ნაკვალევს? წინაპრები ამბობდნენ, თეთნულდს სულები იფარავენო: ეს სულები განრისხდნენ სიმონზე და პიმენზე, ჯერ ისინი დაღუპეს და რამდენიმე თვის შემდეგ ისეთი ზვავი გამოგზავნეს, რომლის მსგავსი სვანეთში ჯერ არავის ახსოვს, მისივარდნის ხმამ მესტიამდე ჩააღწიაო.»

მაგრამ თეთნულდი სიმონის და-ძმას უნდა დაეპყრო. ეს გადაწყვეტილი იყო. ამაზე ალექსანდრა და ალიოშა აღარ კამათობდნენ მათ გვერდით იყვნენ ცნობილი მოხევე მთასვლელი იაგორ კაზალიკაშვილი და სვანი ადსილ ავალიანი.

დაიპყრეს კიდეც, ორჯერ მოევლენ თავზე თეთნულდის მწვერვალს.. და როდესაც იქ დაღუპულთა სახსოვარი ნიში აღმართეს, როცა მათი მზერა შეხვდა,—«ეს პირველია,—ამოიკითხეს ერთმანეთის თვალებში, მხოლოდ პირველი მწვერვალი, რომელზე ასვლაც სიმონს ეწადა. ჩვენ სხვა მწვერვალებსაც დავიპყრობთ, ყველას, რომლებზეც ის ოცნებობდა».

ოთხმა წელმა განვლო ამ დღის შემდეგ. რიგ-რიგობით მოიხარეს ქედი და-ძმის წინაშე კავკასიონის გულზვიადმა მწვერვალებმა. ბოლოს, ჯერი უშბაზე მიდგა.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში იბრძოდნენ უშბის დასაპყრობად მსოფლიოს საუკეთესო ალპინისტები. 50-მდე ექსპედიცია ეწვია მის კალთებს და მხოლოდ სამმა მიაღწია მწვერვალს. საბჭოთა კავშირიდან უშბაზე ჯერ არავინ ასულიყო.

1934 წლის 27 აგვისტოს მთასვლელთა ექსპედიციამ ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეების, იაგორ კაზალიკაშვილისა და გიო ნიგურიანის შემადგენლობით უშბაზე ასვლა დაიწყო. ფრთხილად მიაბიჯებდნენ ალპინისტები უშბას დაქანებულ კალთებზე. ყინულის პერანგიანი კლდეები ფეხისთვის საიმედო დასაყრდენი როდი იყო. სიკვდილი დარაჯობდა ადამიანს ყოველ უფსკრულში. საკმარისი იყო წინ მიმავლის ერთი არაფრთხილი ნაბიჯი, რომ ნაფეხურს კენჭი მოსწყდომოდა, შემდეგ ეს კენჭი უზარმაზარ ლოდს წამოაგორებდა და იწყებოდა ქვათაცვენა, ზევიდან მოჰქროდა ქვების ნიაღვარი.

სამი დღის შემდეგ მთასვლელები ორასმეტრიანი სიმაღლის შვეულ კლდეს მიადგნენ. და დაიწყო გმირობისა და ვაჟკაცობის დღეები. კლდეში ჭრიდნენ საფეხურებს, აჭედებდნენ რკინის პალოებს და თოკზე მიცოცავდნენ. მეოთხე ღამემ შუა კლდეზე მოუსწროთ, კლდეში შეჭრილ პატარა ბაქანთან. ზემოთ ასასვლელი აღარ ჩანდა. ალექსანდრა აქ დატოვეს, ხოლო მამაკაცები გზის საძებნად განზე გავიდნენ. დიდი ხანი მოუნდნენ ძებნას, მაგრამ ამაოდ. და როცა დაღლილები, გულგატეხილები დაბრუნდნენ, სახე გაუბრწყინდათ ქალის სიტყვებზე:

— იცი, ალიოშა, მე ქვემოდან ვათვალიერებდი ადგილს ამ კლდის თავზე და, მგონი, არის იქ ასვლის შესაძლებლობა.

მაგრამ უკვე ღამდებოდა. სად უნდა გაეთიათ ღამე? ბაქანზე ერთი კაცი ძლივს დაეტეოდა. ქვევით ჩასულიყვნენ, კლდის ძირში? მაგრამ განვლილი დღის ჯოჯოხეთურმა სიძნელემ ისე. დაქანცა ჯგუფი, რომ ალიოშა, ექსპედიციის ხელმძღვანელი ცოტა შეშინდა კიდეც: ვაი, თუ ხვალ რომელიმემ ველარ გაბედოს ამ კლდეზე ხელმეორედ ამოსვლა და ამდენმა შრომამ ტყუილად ჩაიაროსო. ისევ ალექსანდრამ უშველა საქმეს და მეგობრებს შესთავაზა —ღამის გასათევად აქ დავრჩებიო, «როგორც მძევალი,»—ხუმრობდა ქალი. აზრი მოუწონეს, კლდეზე თოკებით დაამაგრეს, რომ მძინარი ბაქნიდან არ ჯადმოვარდნილიყო და ალექსანდრა მარტო დარჩა.

ღამემ ამოავსო თვალუწვდენი უფსკრულები, უთვალავი ვარსკვლავებით მო ჭედა ზეცა. შემდეგ ღამის დედოფალი—ვეება მთვარე გამობრძანდა. მთვარის შუქზე თითქოს სიმძიმე დაჰკარგესო, მსუბუქად აისვეტენ ვერცხლისფერი მწვერვალები. ამ ღამეს ალექსანდრას რა დააძინებდა. თვალებგახელილი შეეგება ცისკარს. და როცა მთვარე გაიცრიცა და ვარსკვლავები სათითაოდ გაიპარენ ცის კამარიდან, ქვევიდან ქალს ხმაური შემოესმა და ალიოშას ალერსიანი ხმა:

— დილა მშვიდობისა, ხომ კარგად გეძინა, ალექსანდრა?

კიდევ ერთი დღის დაძაბული ბრძოლაც და მამაცმა ოთხეულმა უშბის მწვერვალზე ააბიჯა. რა სიტყვებით შეიძლება ამ აღტაცების გადმოცემა!

გახარებულები ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ ერთმანეთს. საღამოს კი ბენგალის ცეცხლი დაანთეს და რამდენიმე წუთში მთელ ზემო სვანეთში ციცინათელებივით აინთო საპასუხო კოცონები. მაშინ ალიოშამ ხელი გადახვია დას და ამაყი უშბის გრანიტოვან მწვერვალზე დიდხანს იდგა ასე ორი, როგორც უშბის ორი ნატეხი.

* * *

კიდევ თერთმეტი წელი მიჰყვებოდნენ მხარდამხარ ერთმანეთს ალიოშა და ალექსანდრა. ერთად ჩაატარეს 1940 წელს ცენტრალური კავკასიონის ტრავერსი, რომლის დროსაც ზედიზედ დაიპყრეს 20 მწვერვალი. მსოფლიომ იცოდა მათი სახელები.

1945 წელს უშბა-შხელდის ტრავერსის დროს დაიღუპა ალიოშა. მაშინ ის ნიკოლოზ მუხინთან და ქელეშბი ონიანთან ერთად მსოფლიო რეკორდს ამყარებდა. საშველად წასულმა ექსპედიციამ უშბის კალთებზე მხოლოდ მათი ნაკვალევი ნახა და კარვის კალთა, საიმედოდ მიბმული კლდეზე. დიდხანს ეძებდნენ თანამოლაშქრენი დაღუპულებს და მხოლოდ 12 წლის შემდეგ იპოვნეს...

ალექსანდრამ თვითონ ჩამოასვენა ძვირფასი ნეშტი...

* * *

ოთახში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ის დუმს ნაზი, თმაშევერცხლილი ქალი. უყურებ და გიკვირს, ნუთუ ძის წინაშე მოიდრიკეს თავი კავკასიონის მედიდურმა გოლიათებმა, ამდენი ვაჟკაცის სიცოცხლე რომ შეიწირეს მსხვერპლად? ნუთუ მან აჰხადა ფარდა ლეგენდარული ბეთლემის გამოქვაბულის საიდუმლოებას?

— თქვენ მარტო მწვერვალები კი არა, ახალგაზრდების გულებიც დაიპყარით, ქალბატონო ალექსანდრა,—ვეუბნები.

ის იღიმება და მე ვიცი, რომ ახლა ოცნებით თავის პატარა მეგობრებთანაა—პიონერთა სასახლის ნორჩ ალპინისტებთან. 1944 წლიდან ასწავლის მათ მთასვლელობას.

და აბა, იპოვნეთ მათ შორის ერთი მაინც, საფიცრად რომ არ ჰქონდეს დეიდა ალექსანდრას სახელი.

— ეს საჩუქრები ჩემმა პატარებმა მომართვეს, როცა 60 წელი შემისრულდა,—მეუბნება და მიჩვენებს უკვე დამჭკნარი ყვავილების კალათს, კედელზე ჩამოკიდებულ წერაყინს წარწერით—«ძვირფას დეიდა ალექსანდრას...»

ახლა ქალს ისე უბრწყინავს თვალები, რომ მე ვგრძნობ,—გული მას ისევ ისეთი ახალგაზრდული აქვს, როგორც მაშინ, როცა მწვერვალზე პირველად შედგა ფეხი.

* * *

როცა ბარში დედამიწას გაზაფხულის სუნთქვა გაალღობს, როცა ჰაერი გამჭვირვალე ხდება და შორს, ლურჯ ცაზე მირაჟივით გამოჩნდება შევერცხლილი ქედები, მაშინ ბებერი კავკასიონი ეძახის გულადთ, დამპყრობლებს ელიან კეკლუცი თეთნულდი, ამაყი უშბა, ლამაზი მყინვარწვერი, და აჰყვება ციცაბოებს მთასვლელთა ლაშქარი—საქართველოს არწივების დაგეშილი მართვები.





# თბილისი 1500

„ვახტანგ აშენებდა ქალაქსა თბილისსა და საფუძველი ოდენ დაედვაო"— მოგვითხრობს ქართველი მემატიანე, ხალხსაც საუკუნეთა მანძილზე გულით უტარებია ლამაზი ლეგენდა საქართველოს დედაქალაქის დაბადებაზე.

ამბობენ, ერთხელ მეფე ვახტანგ გორგასალი სანადიროდ წაბრძანდა. თან ახლდნენ სახახლის დიდებულები. ნადირობის ჟამს მეფეს წინ აუფრინდა ჭრელი ხოხობი. მბრძანებელმა საყვარელი მიმინო მიუშვა ხოხობზე. წუთი და ორივე გაქრა. ელოდნენ, ელოდნენ... არსად ჩანდა მიმინო, თითქოს მიწამ პირი უყოო.

მეფემ ბრძანა მდევრები მიჰყოლოდნენ მიმინოს კვალს..

ხევს ჩაჰყვნენ თუ არა, გასაოცარმა სანახაობამ განაცვიფრა ყველანი—ირგვლივ წყლის გუბეებს დაესერათ მიდამო, ორთქლი ახდიოდა გუბეებს, დუღდა წყალი. ერთერთ გუბეში მიმინო და ხოხობი იხილეს, ორთავ მოხარშული ცხელ წყალში.

მეფემ შეჰყარა წარბები, დიდხანს იდგა გუბეებთან, ოცნებას შორს გაეტაცა გონება მისი...

— აქ, ამ ცხელი წყლების გარშემო გაშენდეს ქალაქი... თბილისი ეწოდოს მას!—დინჯად წარმოსთქვა მეფემ.

მერე, როცა მეფე თავისი განზრახვის ასრულებას შეუდგა, ამბობენ თბილისს საძირკველი თვით ჩაუყარაო.

* * *

ეს ლეგენდა დაუდვეს საფუძვლად თავის ობელისკს, მიძღვნილს თბილისის 1.500 წლისთავისადმი, ახალგაზრდა მოქანდაკემ მერაბ ბერძენიშვილმა და არქიტექტორმა რევაზ ბაირამაშვილმა.

სურათზე—ობელისკის პროექტი.



# ანა ვარდიაშვილი

„ფანდურზე ჩვენც ვმღერით, დუდუკზედაც ვუკრავთ. მაგრამ რად იყო თქვენი ხმა ასეთი ტკბილი, დაუვიწყარი?"—სწერდნენ სამამულო ომის დროს საბჭოთა მებრძოლები ხალხური სიმღერების ცნობილ შემსრულებელს ანა ვარდიაშვილს.

ფანდურის დაკვრა და სიმღერა ანამ მთაში ისწავლა, სადაც მან რამდენიმე წელიწადი გაატარა თავის ნათესავთან ანდრია ვარდიაშვილთან. ეს ახოვანი ტანის, მოხდენილი ვაჟკაცი შესანიშნავად უკრავდა და მღეროდა ფანდურზე. მთაში ანა ხვდებოდა განთქმულ მომღერალ მწყემსებს, ისმენდა მათ ვაჟკაცურ ხმებს... პირველად ანა ვარდიაშვილი ფანდურით 1927 წელს გამოვიდა მწერალი ქალის მარიჯანის საღამოზე. განუსაზღვრელი იყო მისი სიხარული, როცა რადიოში პირველი კონცერტი მისცა:



— უკვე საშუალება მომეცა ჩემს საყვარელ მთებამდე მიმეწვდინა ხმა, მემღერა მათთვის, ჩემი გამრჯე და მამაცი ხალხისათვის მათგანვე ნასწავლი სიმღერები,— ამბობს ანა. ამ დღიდან იგი რადიოს ხშირი სტუმარია.

1934 წელს ანა ვარდიაშვილი წარმატებით გამოდის მოსკოვის რადიოში. იქვე ჩასწერეს ტონფირზე მისი—„მეტეხის ციხე", „თუშის ქალი მარო". „იავნანა".

მალე მომღერალი ქალი აღარ კმაყოფილდება მხოლოდ ფანდურით. კიევში გასტროლების დროს იგი მუშაობას იწყებს მედუდუკეებთან და კიევის რადიოში წარმატებით ატარებს პირველ კონცერტს დუდუკის აკომპანიმენტით.

1940 წელს ანა ვარდიაშვილის მედუდუკეების ანსამბლი საკავშირო რადიოკომიტეტმა მოსკოვში მიიწვია. აქ მან მონაწილეობა მიიღო ინტერნაციონალურ გადაცემაში. ანას ხავერდოვან ხმას და დუდუკის ტკბილ ამონაკვნესს ევროპის ყველა ქალაქებში ისმენდნენ.

სამამულო ომის წლებში ანა ვარდიაშვილი თითქმის ყოველდღე მიკროფონთან იდგა, სულგანაბული უსმენდნენ მას ჩვენი სამშობლოს საზღვრებზე, ზღვის სანაპიროებზე, მაღალ მთებში, გადასასვლელებზე მდგარი და სანგრებში მყოფი მებრძოლები. ანა მღეროდა არწივებზე, პირმშვენიერ მოხევის ქალზე. მეტეხის ციხეზე, მღეროდა „ციცინათელას", მამაპაპურ „იავნანას", რომლითაც უხსოვარი დროიდან ჩვენი დედები სამშობლოს უზრდიდნენ გმირ ქართველ ვაჟკაცებს. ამავე დროს ანა ვარდიაშვილი თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეშიც მოღვაწეობდა, ნიჭიერ ბავშვებს ასწავლიდა ფანდურზე სიმღერას. პიონერთა გუნდი მხატვრულ მომსახურებას უწევდა დაჭრილ ჯარისკაცებს. საბჭოთა მეომრები ყოველთვის მოუთმენლად ელოდნენ ნომრებს.

სამამულო ომის წლებში ანა ვარდიაშვილი მხურვალე მონაწილეობას იღებდა მსახიობთა ბრიგადებში, რომლებიც არმიის ნაწილებს კულტურულ მომსახურეობას უწევდნენ.

ანა მღეროდა სანგრებში ფრონტზე მიმავალი მებრძოლებისათვის, მღეროდა სოფლის მშრომელებისათვის, მეცნიერ მუშაკებისათვის, ბავშვებისათვის სასწავლებლებსა და საბავშვო სახლებში.

1948—49 წლებში იგი ქლუხორში მოღვაწეობს, ხელმძღვანელობს კულტურის სახლთან არსებულ მომღერალთა გუნდს.

ამავე დროს იგი სისტემატურ მომსახურებას უწევს კურორტ ტებერდას დამსვენებლებს.

ერთი დღე არ უცხოვრია ანა ვარდიაშვილს სიმღერის გარეშე: დღემდე შერჩა მის ხმას მთის ბილიკებივით ლამაზი გრეხილები და გადასასვლელები. ის ახლაც სიყვარულით განაგრძობს პედაგოგიურ მუშაობას თბილისის სხვადასხვა სკოლებში, ვერ ელევა ვერცერთ ხალხურ საკრავს—ვერც სვანურ ჭუნირს, რომელიც მას სვანებმა აჩუქეს, ვერც ფანდურს, ვერც სალამურს. იგი კვლავ ახლის ძიებაშია.

მ. თომაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იუმორი

### კალიფორნია

(დედათა, მამათა და ბებიათა საყურადღებოდ)

... როცა ის დაიბადა, თბილისის ქუჩები «ჩოლკიანი» ხოხბებით იყო სავსე... ქროდა მოძლიერო-მოსუსტო ქარი და ლაღიძის წყლების წინ ბოშა-ქალები «სინკა-ლილას» კონტრაბანდას ეწეოდნენ...

ამქვეყნად მის მოვლენაში არაჩვეულებრივი მხოლოდ ის იყო, რომ მისი დაბადებისას მამამისმა თოფის მაგიერ ჯიბე დასცალა და ეკლესიაში ნათლობისათვის კონსპირაციულად ნიადაგი მოამზადა.

ნათლიების ხმის უმეტესობით (ნიკოლოზის დროს კალიფორნიაში დაკარგული ბიძის პატივსაცემად) ქალიშვილს კალიფორნია დაარქვეს. ეს სახელი ბევრისათვის «ნიანგის» ზოგიერთ ხუმრობასავით დარჩა.

ბაბუამ იკითხა: «რის წყალის ფონიაო?..»

ბებიამ, ენა რომ ვერ გაიტეხა, დროის ეკონომიის თვალსაზრისით ბავშვს «ფოთიალა» უწოდა.

**დაბადებიდან მეორე თვეზე.**

ბავშვი სვამს ნახევარ ჭიქა დაშაქრულ ჩაის.

ბაბუას აბდღვნის ცალ ულვაშს და იცინის...

მეზობლის აზრით: «ბავშვი ჭკუის კაროპკაა».

ნათლიების მიხედვით: «ბავშვი გენიოსია ჩანასახოვან მდგომარეობაში».

. . . . . . . . . . . . . . . .

კალიფორნიამ დაწყებითი სწავლა აკვანშივე მიიღო:

**ბებია**:— ლატომ ტილი, გენაცვალე... ლა გინდა, ნენა?

**ბავშვი**:—ლალა... ლუუ... ლ... ლ...

**ან კიდევ**

**დედა**:—პოცემუ პლაცეს, შემოგევლე... მოდი ჩემთან პოზალუსტა... ტი მოია ლუსტრა... პაჩი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დასკვნა:**

საქმე გვაქვს ლინგვისტური განვითარების განსაკუთრებულ მიმართულებასთან: მიმდინარეობს რუსული ენის გამდიდრება ქართული ჟარგონებით. ხდება «რ», «ლ», «ც», «ჩ», «ჟ» ბგერების ურთიერთჩანაცვლება... ადგილი აქვს «ლუსტრის» ახლებურ განმარტებას, ჩნდება ახალი გრამატიკული წყობისა და მნიშვნელობის სიტყვა—«პაჩი».

**შედეგი:**

**ბავშვი:**—ბაბო, პაჩი პოზა ლუსტრა ი დაი მულაბუ...

. . . . . . . . . . . . . . .

ბავშვის აღზრდაში როლები განაწილდა შემდეგნაირად: მამა—მომარაგების განყოფილება (ბავშვი ყოველ დილით სასთუმალთან თუმნიანებს პოულობს...).

საქმე გვაქვს მომავალ ოჯახურ ინფლაციასთან.

დედა — კულტმასობრივი მომსახურების სექტორი...

ბებია — მცირეწლოვანის აღმასკომი...

. . . . . . . . . . . . . . .

**დაბადებიდან მეშვიდე წელზე:**

კალიფორნია ბეგემოტის სმენას ავლენს მუსიკის სფეროში... ხმარებაშია მუსიკალური განათლების ძალდატანებისა და ფულის მეთოდი...

**სცენა როიალთან:**

**დედა:**—სიდი ასიოლ!

**კალიფორნია:**—(ტირის).

**ბებია:** — ნუ ტირი, ნენა, დოუკარი და მოათავე...

**ბაბუა:**—რაცხა ისე ვატყოფ საქმეს, თქვენ მუსიკაში მოათავებთ მაგ ბოვშვს...

**დედა:**—ტი მალჩი ტამ!

**დაბადებიდან მერვე წელზე:**

კალიფორნია სკოლაში მანქანით დაყავთ...

წიგნებს ბებო ატარებს...

სახლში გაკვეთილებს ბებო სწავლობს...

**შენიშვნა:**

საქმე გვაქვს წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საინტერესო ფაქტთან.

**სცენა სახლში:**

**ბებო:**— ი-ხ-ვ-ი... გაიმეორე, გენაცვალე.

**ბავშვი:** — უტკა...

**ბებო:**—ბუტკა კი არა იხვი, ნენა.

. . . . . . . . . . . . . . .

**მეოთხე კლასი:**

ბებო ცენზით მოისუსტებს... სწავლას განაგრძობს დედა... ბაბუა გებულობს, რომ საცხა ამერიკაში ყოფილა «კალიფორნია» და მაინც ვერ ერკვევა შვილიშვილის სახელში...

. . . . . . . . . . . . . . .

**მერვე კლასი:**

განვითარების ურთულესი საფეხური: ტანის ნაუცბათევი აყრა... თაყვანისმცემლები... «კინო»‘ «თეატრი», «ტანგო», «ბლუზი». «ბუგი»...

**სცენა წლის ბოლოს:**

**მასწავლებელი:** — თქვენი შვილის მდგომარეობა ჩემს საგანშიაც კატასტროფულია...

**მამა:** — დღიან-ღამიანა წიგნზე ზის...

**მასწავლებელი:**—ზემოქმედება უნდა მოახდინოთ...

**მამა:** — მე მაჩუქეთ ერთი სამიანი და სხვა სკოლაში გადავიყვან...

. . . . . . . . . . . . . . .

**შენიშვნა:**

კალიფორნიას მალე დაამთავრებინებენ სკოლას.

თბილისის ქუჩებს შეემატება ერთი «ჩოლკიანი» ხოხობი...

გამზირი კაუჩუკის ქვეშ დაიტკეპნება და ვიღაც გულისტკივილით იტყვის!

ჰოი დედანო, მარად ნეტარნო!

**რ. ესაძე.**



ნახატები ავტორისა



ეროვნული ბიბლიოთეკა




# რა უნდა იცოდეს დიასახლისმა

## მშრალი კანის მოვლა

მშრალი კანი თხელია, ხორკლიანი და არაელასტიური. ის იქერცლება, ადვილად ხდება და ნაოჭდება. სახის ყოველდღიური ბანვა კიდევ უფრო აშრობს კანს. ამიტომ პირი უნდა დაიბანოთ კვირაში ერთხელ ან ორჯერ, დაძინების წინ, აუცილებლად რბილი, ოთახის ტემპერატურის წყლით, სხვა დროს კი სახე გაიწმინდეთ შემდეგი ნარევით:

1. აზილეთ 1 კვერცხის გული, მიუმატეთ 1 ჭიქა აუდუღარი ნაღები, $^1/_4$ ჩაის ჭიქა (50 გრამი) არაყი და ამდენივე 2 პროცენტიანი ბორის სიმჟავე (რომელიც მზადდება ასეთი შეფარდებით—1 ჩაის კოვზი ბორი 1 ჭიქა ადუღებულ წყალზე), მიუმატეთ 1 ლიმონის წვენი. ნარევი 2—3 დღის განმავლობაში თავმოხდილი დასტოვეთ; შემდეგ კი იხმარეთ.

სახე უნდა გაიწმინდოთ წრიული მოძრაობით—ქვემოდან ზევით. გაწმენდის შემდეგ შეიმშრალეთ პაპიროსის ქაღალდით ან ბამბით. შემდეგ წაისვით მკვებავი მალამო დარტყმითი მოძრაობით. მკვებავი მალამოს რეცეპტები მოცემული იყო ჩვენი ჟურნალის მე-2 ნომერში.

მზა მკვებავ მალამოთა შორის შეიძლება დავასახელოთ: „ღამის მალამო ტეჟე", „სპერმაცეტი", „ლოტოსი" და „ლანოლინი". კარგი იქნება, თუ „ლოტოსსა" და „ლანოლინს" დაუმატებთ ცოტა მცენარეულ ზეთს, ისე, რომ მალამო არაჟანზე სქელი არ გამოვიდეს. დილით გაიწმინდეთ სახე ისევე, როგორც საღამოს, შეიმშრალეთ და შემდეგ წაისვით პუდრის ქვეშ წასასმელი დღის მალამო.

გაგაცნობთ პუდრის ქვეშ წასასმელი მალამოს ორ რეცეპტს:

1. თეთრი სანთელი—1 გრ. სპერმაცეტი—2 გრ. ატმის ზეთი—8 გრ. გამოხდილი წყალი—2 გრ.

2. თეთრი სანთელი—6 გრ. კაკაოს ზეთი—18 გრ. ატმის ზეთი—40 გრ. გამოხდილი წყალი—6 გრ.

ბეწვეული უნდა გაწმინდოთ შემდეგნაირად: ჯერ ფრთხილად დავარცხნეთ მსხვილკბილიანი სავარცხლით, ისე რომ ბეწვები არ მოწყდეს, შემდეგ კი წვრილკბილიანი სავარცხლით, მის კბილებს წინასწარ ჩაატანეთ ბენზინში დასველებული ბამბის პატარა ფთილები.

გაწმენდის შემდეგ ბეწვეულს დააყარეთ ბორის სიმჟავე (იგი ბეწვს ღრმად უნდა გაუჯდეს). რამდენიმე საათის შემდეგ ფხვნილი გადაბერტყეთ.

ზეთის საღებავებით დახატული სურათები გაწმინდეთ გათქვეფილ კვერცხის ცილაში დასველებული რბილი ჩვრით ან ბამბით. ჭუჭყის მოცილების შემდეგ სურათები გაამშრალეთ დანამული სუფთა ჩვრით.

* * *

ხახვის დაჭრის დროს დანა დაასველეთ ცივ წყალში, რომ ხახვმა ცრემლი არ გადინოთ.

თუ გსურთ წინა დღით შემწვარ ხორცს შეუნარჩუნოთ ახალშემწვარი ხორცის გემო, მას უნდა მოასხათ ცოტა ცივი წყალი და ერბოიან ტაფაზე გააცხელოთ.

ადუღებისას ერბო რომ არ გადმოგეღვაროთ, ტაფაზე ერბოსთან ერთად დადეთ პურის პატარა ნაჭერი.

ჩაიდანი ადვილად ირეცხება, თუ მასში ჩადებთ ლიმონის ნაჭერს, ჩაასხამთ წყალს და აადუღებთ.

დამზადების წესი: ყველაფერი, წყლის გარდა, მოათავსეთ ქვაბში. ქვაბი ჩადგით წყლიან ჭურჭელში, დადგით ცეცხლზე და გაადნეთ. შემდეგ გაწურეთ, ჩაასხით ხანაყში და როცა გაცივდება, ფრთხილად ლესეთ, თან წყალი უმატეთ ერთგვაროვანი მასის წარმოქმნამდე.

მზა დღის მალამოთაგან იხმარეთ „მანონი" და „ფლორა".

ს. სარაჯიშვილი

გამხმარი ყველი რბილდება, გემოს ინარჩუნებს, თუ მას რამდენიმე საათს რძეში ჩადებთ.

**მდოგვის მომზადება.** აიღეთ 50 გრამი მდოგვის ფხვნილი დაყარეთ ღრმა თეფშზე, დაასხით 2—3 სუფრის კოვზი მდუღარე წყალი და კარგად აურიეთ, დაუმატეთ $^1/_2$ ჭიქა ცხელი წყალი, დასტოვეთ ასე 10—12 საათი, შემდეგ წყალი გადაღვარეთ, მას თან გაჰყვება არასასიამოვნო სიმწარე, დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი საჭმელი ზეთი, 1 სუფრის კოვზი შაქარი, $^1/_2$ ჩაის კოვზი მარილი, 2 სუფრის კოვზი ძმარი და მაგრად აურიეთ. ასე მომზადებული მდოგვი გააჩერეთ დახურულ ჭურჭელში ერთი დღე.

**ქათმის კვერცხი.** კვერცხი ძვირფასი პროდუქტია. მის შემადგენლობაში შედის ისეთი ნივთიერებანი, რომლებიც აუცილებელია ორგანიზმისათვის, განსაკუთრებით ბავშვებისათვის ორგანიზმი მთლიანად ითვისებს მხოლოდ კვერცხის გულს, ცილას კი, თუნდაც მაგრად იყოს მოხარშული, ხანგრძლივად და მძიმედ ინელებს ადამიანი. მიუხედავად კვერცხის სარგებლობისა, არ შეიძლება ბავშვს დღეში მივცეთ 1—2 კვერცხზე მეტი.

**გამხმარი ხილის შენახვა.** გამხმარი ხილი კარგად ინახება მინის ქილებში. ხილის ჩაწყობის შემდეგ ქილა უნდა დავხუროთ გასანთლული ან პერგამენტის ქაღალდით. ხილი შეიძლება შევინახოთ აგრეთვე სუფთა, მშრალ, მჭიდროდ შეკრულ ფიცრის ან ფანერის ყუთში. ყუთის ძირსა და კედლებს უნდა ჩავაფინოთ სქელი ქაღალდი, ავავსოთ გამხმარი ხილით, ზემოდან დავაფაროთ ქაღალდი და სახურავი დავჭედოთ. შემდეგ დავდოთ მშრალ და გრილ ადგილას.

გარეკანზე—«ნარინჯების დედოფლები»—ნახატი მ. ბერძენიშვილისა.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

რედაქტორი თეო აბაშიძე.

სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. ხირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

ნომერი გააფორმა ლ. შენგელიამ.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

რედაქციის მისამართი: სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3—30—57.

ტირაჟი 15.000. ფასი 3 მან.

შეკვეთის № 161 უე 02005

საქ. კპ. ც-კის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

Ежемесячный общественно-политический иллюстрированный журнал „Сабчота Кали", Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა





გ. ოჩიაური — ბაკურიანი

